- ანდრო ჟორდანია — 90 (მე-2 გვ.)
- ინტრიგა დიდ ჭადრაკში (მე-2 გვ.)
- ხრისტო სტოიჩკოვი და პაოლო მალდინი ახლო პლანით (მე-3 გვ.)
- მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები (მე-4 გვ.)
- ვინ იღუპებდა ქართული სპორტის ისტორიას? (მე-4 გვ.)



# ლელო

12-17 იანვარი 1995 წ. ● №1 (10912)

ფასი 600 რუბლი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი სიჭინავა და პელე — 30 წლის წინათ!




ეს შეხვედრა 30 წლის წინ შედგა მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონზე. ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს საბჭოთა გუნდმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ, ბუნებრივია, მაინც დამარცხდა. იმ ღირსსახსოვარ მატჩში სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობას ხუთი ქართველი ფეხბურთელი (მათ შორის ოთხი დინამოელი) იცავდა. ცნობილი სპორტული ჟურნალისტის, აწ განსვენებული მარტინ მერჟანოვის თქმით „პელეს გუნდის დამარცხება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკრებში რვა ქართველ ფეხბურთელს შეიყვანდნენ“. ამ ხუმრობას მაშინ ერთგვარად რეალური საფუძველი ჰქონდა.

„ლელოს“ რედაქციის მიერ გამოშვებული 1995 წლის კალენდარი, სწორედ ამ თემის (სსრ კავშირ-ბრაზილიის ფეხბურთელთა მატჩის) ინტერპრეტაციის მცდელობას წარმოადგენს. დარწმუნებული ვართ, ფეხბურთის გულშემატკივარი ხალისით მიიღებს ამ საახალწლო საჩუქარს, რომელიც მას მთელი წლის მანძილზე სასიამოვნო მოგონებებს აღუძრავს.

## სპეციალისტთა რჩეულნი

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თაოსნობით მოწყობილ ყველა თაობის ოლიმპიელთა და სპორტსმენთა, დარგის მუშაკთა და სპეციალისტთა, ჟურნალისტთა და ვეტერანთა წინასაახალწლო შეხვედრაზე ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე, მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად გამოცხადდა. რეფერენდუმში მონაწილეობდნენ სპორტის დეპარტამენტის და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები. სპორტის სპეციალისტები.

აი როგორ გამოიყურება საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის სია (მომდევნო ადგილებზე ლაურეატები ანბანური წესით არიან განლაგებულნი).



მაია ჩიბურდანიძე

მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი)
შოთა არველაძე (ფეხბურთი)
ივანე გამხიტაშვილი (სამბო)
მუხრან გოგია (ძალოსნობა)
ბაკურ გოგიტიძე (ბერძ. რომ. ჭიდ.)
ჯონდო მუზაშვილი (ძიუდო)
გელა პაპაშვილი (ბერძ. რომ. ჭიდ.)
გიორგი რეხვიაშვილი (ძიუდო)
ზაურ ცხადაძე (მკლავჭიდი)
გიორგი ქინქლაძე (ფეხბურთი)
ივერი ჯიქურაული (ძიუდო)

იმავე წინასაახალწლო შეხვედრაზე საუკეთესო გუნდად გამოცხადდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები. რომელმაც მსოფლიოს ოლიმპიადაზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა (გუნდის შემადგენლობა: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია, ნინო გურიელი), საუკეთესო ფედერაციად კი ისევ ჭადრაკის ფედერაცია აღიარეს, თუმცა აღინიშნა, აგრეთვე, ხამბოს, მკლავჭიდისა და ძიუდოს ფედერაციების მეტად ნაყოფიერი საქმიანობა.

## ნანა ალექსანდრია ცეკას წევრია

13-15 დეკემბერს, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში მოსკოვმა ფიდეს (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია) 65-ე კონგრესს უმასპინძლა. საჭადრაკო სამყაროს ამ უმაღლესმა თავყრილობამ ბევრი საინტერესო პრობლემა განიხილა, მაგრამ მათში უმთავრესი საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გახლდათ.

თავდაპირველად განაცხადში შეიყვანეს მხოლოდ სამი კანდიდატი: ბაშარ კვატლი (საფრანგეთი), ჯორჯ მაკროპულოსი (საბერძნეთი) და იოახიმ დურაო (პორტუგალია). შემდეგ მათ დაემატა ფიდეს იმჟამინდელი პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი. კენჭისყრა რამდენიმე ტურად ჩატარდა. მთავარი ბრძოლა კამპომანესსა და კვატლის შორის გაჩაღდა, რომელიც საბოლოოდ, ერთობ სოლიდური უპირატესობით (76:61) კამპომანესმა მოიგო და შეინარჩუნა თანამდებობა.

მოეწყო კიდევ ერთი, ჩვენთვის პრინციპული არჩევნები ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა. საპატიო თანამდებობა, სხვებთან ერთად, წილად ხვდა ჩვენს თანამემამულეს, დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას, რაც ფედერაციის ისტორიაში უნიკალური ფაქტი გახლავთ.

კონგრესის მუშაობაში საკმაოდ აქტიური მონაწილეობა მიიღო (ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტიც) საქართველოს დელეგაციამ ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ვაჟა შუბლაძის თაოსნობით.

## გვექნება ოლიმპიური მუზეუმი

საქართველო, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული სპორტული ქვეყანა, მთელმა სამყარომ გაიცნო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სეოკი სოკის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ოლიმპიურ ჩემპიონთა და პრიზიორთა სიმრავლემ, ჩვენმა საერთო წარმატებებმა ათქმევინა სოკის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს, რომ საქართველო, მართალია პატარაა, მაგრამ დიდი სპორტული ქვეყანაა. ეს მან ჩვენთან სტუმრობისას განაცხადა და როცა შეიტყო, რომ ოლიმპიური მუზეუმის გახსნას ვაპირებდით, უყოყმანოდ შემოგვწირა სოლიდური თანხა. სამუშაოები მალე დასრულდება — საქართველოს ოლიმპიური მუზეუმი სეოკის შტაბბინის პირველ სართულზე განთავსდება. ამჟერად მიმდინარეობს ექსპონატების შეგროვება.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს — ინფორმაცია პირველწყაროდან

## ისევ ფალიანის, გვასალიას და კახიაშვილის შესახებ

„ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, რომ ქართველ მოკრივეებს, ფალიანს და გვასალიას, რომლებიც რუსეთში გადავიდნენ, არანაირი მოლაპარაკება არ სურთ საქართველოს სპორტის ხელმძღვანელებთან შინ დაბრუნების თაობაზე.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია უშუალოდ პირველწყაროდან. სეოკის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა გაზეთ „ოლიმპიელის“ შეკითხვაზე „რაიმე ახალი ინფორმაცია ხომ არაა ზოგიერთი ქართველი სპორტსმენის უცხოეთში გადასვლის შემთხვევასთან დაკავშირებით“, უპასუხა:

„მოკრივეების რამაზ ფალიანისა და პაატა გვასალიას რუსეთის სახელით გამოსვლასთან დაკავშირებით ჩვენ მოსკოვში შევხვდით ორივე სპორტსმენს, მათ ძმასა და ბიძას, რუსეთის ოლიმპიური გუნდის მზადების შტაბის უფროსს ანატოლი კოლესოვს, კრივის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და რუსეთის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს. ამავე საკითხზე ატლანტაში ხანგრძლივი საუბარი გვქონდა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან ვიტალი სმირნოვთან, ვიცე-პრეზიდენტთან, ვლადიმერ ვასინთან და ვლადიმერ რადიჩენკოსთან.

ორივე სპორტსმენი და მათი მეურვეები სასტიკი წინააღმდეგნი არიან დაბრუნდნენ საქართველოში და ამას ერთი მხრივ ხსნიან საქართველოში არსებული პირობებით და, მეორე მხრივ, რესპუბლიკის კრივის ფედერაციის მათი ბედისადმი უსულგულო დამოკიდებულებით, აგრეთვე სპორტის სხვა ხელმძღვანელთა ინერტული პოზიციით, რაც ათლეტთა სპორტული ზრდის საკითხებისადმი დამოკიდებულებით აიხსნება. რუსეთის სპორტის ხელმძღვანელებს კი მიაჩნიათ, რომ მათი პოზიცია ამ საკითხში ობიექტურია. რამეთუ სპორტსმენთა თხოვნა გამყარებულია კრივის ფედერაციის პრეზიდენტის დავით კვაჭაძის თანხმობით.

კრივის ფედერაციას და მის პრეზიდიუმს, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამ საკითხზე არ უმსჯელია და პრეზიდენტის სპორტის დეპარტამენტთან და სეოკის ალმასკომთან კონსულტაციების გარეშე მიღებულმა ერთპიროვნულმა გადაწყვეტილებამ ასეთი შედეგი მოგვცა.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე კახი კახიაშვილთანაც. აქაც ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციისა და საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა იშველიებს რესპუბლიკის ძალოსნობის ფედერაციის ნებართვას სპორტსმენის საბერძნეთის სახელით გამოსვლის შესახებ, რაც სრულიად შეესაბამება ამ საკითხში საერთაშორისო წესებს. მეორე მხრივ, სამივე სპორტსმენის ოლიმპიურ თამაშებში სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლას, ნებისმიერ ვარიანტში, ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნათა შესაბამისად დასჭირდება საქართველოს ეოკის თანხმობა.

სპორტსმენების რესპუბლიკიდან წასვლის იურიდიულ და ზნეობრივ მხარეს რომ თავი დავანებოთ, გაოცებას იწვევს კრივისა და ძალოსნობის ფედერაციების ხელმძღვანელების პოზიცია — მათ ფაქტობრივად პროფესიონალი სპორტსმენები „აჩუქეს“ რუსეთსა და საბერძნეთს ყოველგვარი პირობების გარეშე, კომპენსაციის საკითხიც კი არ დაუყენებიათ.

ეს საკითხი დიდი და რთულია, და იგი სპეციალურ მსჯელობას მოითხოვს.“

## რა ხდება ქვეყანაზე

მძლეოსნობა

მსოფლიოს 1991 წლის ორგზის ჩემპიონი, გერმანელი სპრინტერი კატრინ კრაბე, რომელიც ორჯერ გახდა დოპინგ-შემოწმების მსხვერპლი, დარწმუნებულია, რომ მოიგებს სასამართლო პროცესს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციასთან და მიიღებს კომპენსაციას 10 მილიონი გერმანული მარკის ოდენობით. რაც შეეხება მასთან ერთად დასჯილ კიდევ ორ გერმანელ მძლეოსანს — მანუელა დერისა და გრიტ ბროიერს, ისინი სპორტში დაბრუნებას აპირებენ 1995 წლისთვის, როცა დამთავრდება დისკვალიფიკაციის ვადა. კრაბე, რომელიც ამჟამად ფეხმძიმედაა, ცხადია, აღარ დაბრუნდება ბილიკზე, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

ტანვარჯიში

რუმინეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლაე ვაკაროუს განკარგულებით და კაბინეტის გადაწყვეტილებით ქალთა ეროვნული ნაკრების წევრები, რომლებმაც წლეულს დორტმუნდში ევროპის ჩემპიონატი მოიგეს, დაჯილდოვდებიან 18-18 მილიონი ლეით (10-10 ათასი დოლარით). ჟურნალისტებმა გულმოდგინედ დაიანგარიშეს, რომ გადასახადების დაფარვის შემდეგ თითოეულ სპორტსმენს დარჩება 8 მილიონი ლეი (ანუ 4 ათასი დოლარი).

კალათბურთი

დონეცკის „შახტიორმა“, რომელიც არც თუ ურიგოდ გამოდის უკრაინის ჩემპიონატში, იყიდა ორი ამერიკელი კალათბურთელი, გამთამაშებელი დიმიტრი ბრიკმანი (23 წლის, 180 სმ სიმაღლე) და დერიკ ბაუერი (28 წლის, 203 სმ სიმაღლე).

ფეხბურთი

ურუგვაის ქალაქ პუნტა-დელ-ესტეში გაიმართა „კოპა ამერიკის“ (ამერიკის თასის) ჯგუფური ტურნირების კენჭისყრა. A ჯგუფი. ურუგვაი, მექსიკა, პარაგვაი, ვენესუელა; B ჯგუფი. არგენტინა, აშშ, ჩილი, ბოლივია; C ჯგუფი. ბრაზილია, კოლუმბია, პერუ, ეკვადორი. მატჩები გაიმართება მონტევიდეოში, მალდონადოში, პაისაიდუში და რივერაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, ბათუმისა და ქუთაისის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშე

კონსტანტინე (რადიო) გაბუნია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

— ანდრო ჟორდანია — 90 —

# „გვიშველე, ბატონო ანდრო!“

**ვინ თქვა, რომ ფეხბურთში გვარს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სხვა შემთხვევაში არ ვიცი, მაგრამ ანდრო ჟორდანიასთან მიმართებაში ეს, სამწუხაროდ, ვაი რომ ასე იყო. ბევრი სისხლი მოუწამლა და სიცოცხლე გაუმწარა ბატონ ანდროს... საკუთარმა გვარმა.**

მოუბოლოვდებოდა თუ არა თბილისის „დინამო“ ოქროს ოლიმპზე, ა.ჟორდანიას მაშინვე „მოაგლეჯდნენ“ მშობლიურ კოლექტივს — უფროს მწვრთნელად ერთ-ერთ ტიტულოვან ფეხბურთელს დანიშნავდნენ (რომელსაც ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ ჰქონდა პრაქტიკა მწვრთნელობაში) ანდა მეორე მწვრთნელს მიხაილ მინაევს სახელოფოდ გააფორმებდნენ უფროსად. ერთი შიში ჰქონდათ მაინც: ჩემპიონის უფროსი მწვრთნელი არავითარ შემთხვევაში არ ყოფილიყო ქართველი ხალხის „მტრის“ ნოე ჟორდანიას გვარის მატარებელი!

ბატონი ანდრო რომ საშუალო რანგის სპეციალისტი, მით უფრო, დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ყოფილიყო, ცხადია, სულ დაავიწყებდნენ საქართველოს გზას შორეულ ივანოვოში წასულს, მაგრამ, ვაი რომ დიდებული, არ ეშმაკები, უნიკალური სპეციალისტი გახლდათ. კოჭებში ატყობდა მოთამაშეს, გამოვიდოდა თუ არა მისგან ფეხბურთელი. რომელი ერთი გაიხსენოთ? სხვა რომ არაფერი, 1964 წლის თბილისის დინამოელ ოქროს მედალოსანთა უმრავლესობა ხომ სწორედ მისი აღზრდილი იყო! ახლა თბილისის „სპარტაკი“ რ იკითხავთ, რომელიც ანდრო ჟორდანიამ შეადგინა და გამოუცდელი ფეხბურთელებით დააკომპლექტა და მოკლე ხანში დაბალი ლიგიდან უმაღლესში გადაიყვანა. ძველ გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ თუ როგორი რისხვა იყო ჩვენი „სპარტაკი“ ცნობილი საფეხბურთო გრანდებისთვის, მათ შორის მოსკოვის „დინამოს“, ცსკა-სა და სხვა.

ალბათ, შეიძლება, ბევრმა არც იცოდეს, რომ ანდრო ჟორდანია საბჭოთა მწვრთნელთა [illegible] გამოდიოდა, თავად იყო საუკეთესო ფეხბურთელი — ცენტრალური ნახევარმცველი. უძლიერესი დარტყმა ჰქონდა, საუცხოოდ ესმოდა თამაში. თანამედროვენი პირდაპირ ხოტბა-დიდებით მოიხსენიებდნენ მას. აი იმათ, ვისაც ა.ჟორდანიას თამაში არ გვინახავს, ისღა დაგვრჩენია, დავუჯეროთ ძველებს და ქართული ფეხბურთის სიყვარულით და ყურადღებით ვათვალიეროთ ბედად შემონახული ძველისძველი ფოტოსურათები, რომლებზეც უცნაურ ფორმაში [illegible] გამოწყობილი მოთამაშეები არიან. ერთი მომცრო ტანის, მკვრივი, მაგარი ახალგაზრდა ანდრო ჟორდანიაა, სახელი რომ შევიდა დიდი ფეხბურთის ისტორიაში. ვიღაცას მზრუნველ ხელს ამ ქართული ფეხბურთის პირველ მერცხალთა ფოტოსურათზე ნომრები დაუწერია, [illegible] ფეხბურთის თანატოლია (სიზუსტისთვის: 10 წლით უმცროსი).

...14 წლისა ეზიარა ანდრო ფეხბურთს. თბილისში, დიდუბეში [illegible] საფეხბურთო [illegible] მრავალი [illegible] თამაშობდნენ. ბათუმში [illegible] სამეურნეო [illegible] ა.ჟორდანია [illegible] ფეხბურთელი [illegible].

ფეხბურთის სისრულით ადრეულ მის სახელს, იგი ხომ ქართული ფეხბურთის თანატოლია [illegible] იყო. [illegible] ბოლოს „დინამოში“ [illegible] ფეხბურთელთა [illegible] ... ბორის პაიჭაძე, მიხეილ ბერიძე, [illegible] შოთა შავგულიძე, [illegible] თამაშობდნენ.



ანდრო ჟორდანია

ფიანი, ხორენ არუწევი, კაკო იმნაძე, ვახტანგ ამბოკაძე. სამი სეზონი ითამაშა აქ ა.ჟორდანიამ და აი 1925 წელს თბილისში ახალი, ეგრეთ წოდებული, საჩვენებელი გუნდი შეიქმნა. მას „დინამო“ დაარქვეს. ანდრო ჟორდანია ახლა დინამოელთა კოლექტივის სული და გული გახდა, გუნდის მოთამაშე მწვრთნელი, ფეხბურთელები „დინამოს“ ძველ სტადიონზე ვარჯიშობდნენ, პლეხანოვის პროსპექტზე, კინოთეატრ „აპოლოს“ გვერდით. დინამოელები იმხანად სისტემატურად მართავდნენ ამხანაგურ მატჩებს (როგორც შინ, ისე სტუმრად) ხარკოველ, როსტოველ, ნიკოლაეველ, დონეცკელ, მოსკოველ, ლენინგრადელ ფეხბურთელებთან.

სწორედ დინამოელთა ბაზაზე (მას სამი ბაქოელი მოთამაშე დაემატა) ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ნაკრები, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მოსკოვში 1928 წელს გამართულ საკავშირო სპარტაკიადაში და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. ნახევარფინალში გუნდმა მინიმალური ანგარიშით 0-1 წააგო უკრაინის ნაკრებთან და, საყოველთაო აღიარებით, მთელ ტურნირში საკმაოდ კარგად ითამაშა. გუნდის კაპიტან ანდრო ჟორდანიას მხარდამხარ გამოდიოდნენ ალიოშა პოპკოვი, ანდრო ფოჩხუა, ნიკოლაი ანიკინი, ევგენი ფრუიძე, ვლადიმერ თურქია, ნიკოლოზ ქოიავა და სხვანი. სპეციალისტთა შეფასებით ა.ჟორდანია გუნდის ყველაზე ტექნიკური, ტაქტიკურად გამორჩეული და გამძლე ფეხბურთელი იყო. 1937 წლიდან მან ოფიციალურად მიჰყო ხელი მწვრთნელობას — ივანოვოში წავიდა სამუშაოდ. ჯერ ადგილობრივ „ოსნოვას“ (რომელშიც ერთხანს თამაშობდა კიდეც) ავარჯიშებდა, მერე „კრასნოე ზნამიას“. ამ ქალაქში მან სულ 8 სეზონი დაჰყო.

გაუჭირდებოდა ჩვენს „დინამოს“ და აი, თბილისიდან საგანგებოდ აფრენდნენ კაცს ივანოვოში: „გვიშველე, ბატონო ანდრო!“ თავს არ აზვეწნინებდა — ჩამოდიოდა თბილისში და „ამოქაჩავდა“ მშობლიურ გუნდს. მერე უმადური ფუნქციონერები „გააგდებდნენ“ ჟორდანიას „დინამოდან“. გულდათუთქული მიატოვებდა მშობლიურ მიწას, ისე როგორც ოდესღაც ნოე ჟორდანია. ო, მართლაც როგორ უშლიდა გვარი ფეხბურთის პატრიარქს! არა, არც გვარი გამოიცვალა, არც რწმენა და სარწმუნოება! რას არ უგონებდნენ, როგორ არ ამწარებდნენ. ამბობენ, ვიღაც ძველმა საფეხბურთო ბოსმა ანდროს მანქანაში ფარულად მაგნიტოფონიც კი ჩაურთო და პროვოკაციულ საუბარში გამოიწვია. ჟორდანიას გულწრფელად „დაუფქვავს“ ყველაფერი, ერთი-ორი მწარე სიტყვაც მიუყოლებია მავანთა მისამართით. მეორე დღეს მაგნიტოფირი, თვითმფრინავის „შავი ყუთისა“ არ იყოს, გულმოდგინედ გაუშიფრავთ სპორტის უმაღლეს ინსტანციაში. სამუდამოდ გადაკიდეს ერთმანეთს ორი ხელმძღვანელი, თავისი საქმის ორი დიდებული სპეციალისტი. რაღა გაეჩერებოდა ანდროს საქართველოში და კვლავ თავის „მეორე სამშობლოს“, ასე ვთქვათ, „სათადარიგო ქალაქ“ ივანოვოს აკითხავდა.

გავიდოდა დრო და კვლავ იწყებოდა... „არიქა, გვიშველე, ბატონო ანდრო!“ ისევ გაისმოდა ივანოვოში სატელეფონო ზარი თბილისიდან, გაფრინდებოდა ელვა დეპეშები, „საჭირო კაცსაც“ მიავლენდნენ სასწრაფოდ ისევ „იმ დავალებით“. კვლავ ჩამოდიოდა ანდრო ჟორდანია თბილისქალაქში, ისევ ჩაუდგებოდა მშობლიურ „დინამოს“ სათავეში და გვარიანად „ჩაძირულ“ კოლექტივს ჩვეულებისამებრ ამოატივტივებდა ზედაპირზე. საყვედურს არასოდეს ამბობდა, მხოლოდ ერთს გამოცრავდა ბაგეთაგან: „დიავოლ!“ ეს მისი საყვარელი სიტყვა იყო, ლამის ბატონი ანდროს სინონიმი რომ გახდა.

სამჯერ გახადა ა.ჟორდანიამ თბილისის „დინამო“ ჩემპიონატის პრიზიორი, 1960 წელს კი მისი ხელმძღვანელობით ქართველმა ფეხბურთელებმა სუსხიანი და თოვლიანი მოსკოვიდან ადგილობრივ „ტორპედოსთან“ და... კიდევ არბიტრ ალექსანდრ ცაპოვეცკისთან უთანასწორო ბრძოლში კინაღამ ბრონ... ლის თასი ჩამოიტანეს თბილისში. მაგრამ, მოგეხსენებათ, „კინაღამ“ არ ითვლება და ა.ჟორდანია არც ჩემპიონის მწვრთნელი ყოფილა არასდროს და არც თასის მფლობელისა. აქვე ვიტყვით, რომ ა.ცაპოვეცკიმ მოგვიანებით უკრაინულ პრესაში გულწრფელად აღიარა თავისი შეცდომა, არ დავნიშნეო პენალტი ავტოქარხნელთა საჯარიმოში მცველ შუსტიკოვის მიერ იამანიძის უხეში „მოცელვისათვის“, რისთვისაც ახლა მინდა ბოდიში მოვიხადოვო. მართლაც რომ სადაა სამართალი, „დიავოლ?!“

საერთო ჯამში ა.ჟორდანიამ სულ 7 სეზონი იმუშავა „დინამოში“, აი ივანოვოში კი უფრო მეტხანს იმოღვაწა — 8 წელიწადი, როგორც ზემოთ გითხარით.

ხშირად მიფიქრია, რა იქნებოდა, ა.ჟორდანიას ჩვენი „დინამო“ მთელი 15 წელიწადი რომ ევარჯიშებინა?! ეჭვი არაა, მის ხელში ერთხელ მაინც გავხდებოდით ჩემპიონები და თასსაც ავიღებდით ნაღდად.

ერთხელ მიშა მესხმა მითხრა: „ქართულ ფეხბურთში ასეთი მწვრთნელი არ ყოფილა. ღმერთმა ქნას, ჩვენს „დინამოს“ კიდევ ერთი ანდრო ჟორდანია მოევლინოს. მამა გახლდათ ჩვენი. პირადად მე ბევრი ვისწავლე მისგან — ადამიანობა, გულკეთილობა, მოყვასის სიყვარული.“ ამ დიდებული ფეხბურთელის არანაკლებ დიდებულ ნათქვამს დავუმატებთ მხოლოდ ერთ „დეტალს“: როდესაც მესხი „დინამოში“ მიიღეს, მისთვის საშტატო ერთეული არ გამოინახა და ხელფასი (დღეს უკვე შეიძლება ამის ხმამაღლა თქმა) ვერ დაუნიშნეს. ა.ჟორდანიამ „თავისი ჯიბიდან“ დააფინანსა ახალბედა ფეხბურთელი „კუთვნილი“ თანხით.

აი ასეთ უებარ სპეციალისტს, ასეთ გულისხმიერ კაცს ამწარებდნენ და სიცოცხლეს უსწრაფავდნენ უმოწყალოდ. ერთი იუბილეც არ აღირსეს და, შვიდ ათეულ წელს მიტანებულმა, ნაღვლიანმა დატოვა წუთისოფელი. ისე, კაცმა რომ თქვას, იუბილეებისა და ზარზეიმებისთვის მაინცდამაინც არ იკლავდა თავს — ფუტკარი იყო, დედა-ფუტკარი, ჩუმად, უხმოდ აკეთებდა საქმეს და მუდამ უხვად იძლეოდა პროდუქციას — სანატრელ „თაფლს“, გულშემატკივართა ენაზე ფეხბურთელი რომ ჰქვია!

ოთარ ნოზაძე

## ნაიჯელ შორტი:
# „კარპოვი მიკი-მაუსების მსოფლიო ჩემპიონია“

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილმა პრეტენდენტმა ნაიჯელ შორტმა, მას შემდეგ, რაც მაქს ეივეს მემორიალში ოთხ მონაწილეს შორის ბოლო ადგილი დაიკავა (გაუსწრეს კასპაროვმა, ივანჩუკმა და ტიმანმა) ოდნავაც არ გაიტეხა იხტიბარი: როცა ჰკითხეს, რატომ არ გამოდიოდა ამ შეჯიბრებაში ანატოლი კარპოვი, ასეთი პასუხი მიიღეს:

— მიკი-მაუსების მსოფლიო ჩემპიონმა კარპოვმა გადაწყვიტა პროფესიონალებთან უშუალოდ ასპარეზობაში კი არ ებრძოლა, არამედ სხვაგვარი არასაჭადრაკო შეჯიბრება გაემართა. საამისოდ მან გამოიყენა ზოგიერთი ბოლოდროინდელი წარმატება, რომელთა მნიშვნელობა დიდად გაზვიადებულია. სხვა რამ კი დაივიწყეს. მაგალითად, ის, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ როგორ წააგო მატჩი ჩემთან.

● **რამე უხერხულობას ხომ არ განიცდით იმის გამო, რომ ფიდემ რეიტინგი ჩამოგართვათ და „რანგ-ლისტში“ აღარ შეგიყვანათ?**

— არავითარ უხერხულობას არ განვიცდი. ცოტა ხანში ჩვენს ორგანიზაციას, პროფესიულ საჭადრაკო ასოციაციას, თვით ექნება კოეფიციენტების სისტემა, რომელიც ახლა გამომუშავების სტადიაშია.

აი, ნაწყვეტები შორტის კიდევ ერთი ინტერვიუდან:

● **თქვენ მაქსიმალისტი ხართ?**

— მაქსიმალისტობისა რა მოგახსენოთ, იმას კი ვიტყვი, რომ ძალიან კარგად ვიცი საკუთარი შესაძლებლობები. არ მინდა არასწორად გამიგოთ, ვფიქრობ, ჭადრაკს ჩემზე კარგად არც ისე ბევრი ვინმე თამაშობს და ვერც ისინი მიგებენ მაინცდამაინც ხშირად. ისე რომ, მე შეიძლება „კარგად გათვითცნობიერებული ოპტიმისტი“ მეწოდოს.

● **მიგაჩნიათ თუ არა თავი ერთ-ერთ უდიდეს ოსტატად ჭადრაკის ისტორიაში?**

— არა, ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა! შესაძლოა, ბოლო ათწლეულის ან ხუთი-შვიდი წლის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ვითვლებოდე, არც ის მინდა მაინცდამაინც, თავმდაბალი ვიყო. მაგრამ ჯერჯერობით ვერ მივაღწიე კარპოვისა და კასპაროვის სიმაღლეებს.

● **რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს და მის ფარგლებს, იქ თქვენ, ეჭვგარეშეა, ყველა დროის უძლიერეს მოჭადრაკედ მიგიჩნევენ.**

— დიახ, სამშობლოში ამის მსგავს განწყობილებას ვგრძნობ, მაგრამ ვცდილობ ჩემს ამ პოპულარობას მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მივაქციო.

● **ამბობენ, რომ შემდეგში თქვენ პოლიტიკოსობას აპირებთ.**

— დიახ, გადავწყვიტე საჭადრაკო კარიერის დამთავრების შემდეგ პოლიტიკური კარიერა დავიწყო, შევეცდები კიდეც ადგილი მოვიპოვო ბრიტანეთის პარლამენტში. მაგრამ ეს მალე არ იქნება, ალბათ, ხუთი-ექვსი წლის შემდეგ.

● **იქცევა თუ არა ჭადრაკის დიდოსტატი პოლიტიკის დიდოსტატად?**

— არ ვიცი, არ ვიცი... სად ვჩქარობ? როცა დავიწყებ პოლიტიკოსობას, მაშინ ვნახოთ. ჩემი, როგორც მოჭადრაკის, „ჩამოწერას“ ხომ არ აპირებთ? მე ჯერ არ მითქვამს უკანასკნელი სიტყვა.

მოამზადა ბივი ბამრეკელმა.

# მიხეილ ბოტვინიკი სიახლეების წინააღმდეგია

**მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჭადრაკში 83 წლის მიხეილ ბოტვინიკმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსულ ჭადრაკში დიდი განხეთქილება მოხდა და ორიდან ერთ-ერთი ფედერაციის პრეზიდენტად იურისტი ანდრეი მაკაროვი აირჩიეს.**

— მაკაროვი პირადად მე არასოდეს მინახავს, არც ვიცნობ, მაგრამ იგი მხოლოდ უმნიშვნელო ჭანჭიკია იმ საერთაშორისო კამპანიაში, რომელიც ჭადრაკის წინააღმდეგ მიმდინარეობს. არ ვიცი რატომ შეუერთდა იგი ამ კამპანიას. შესაძლოა რაღაც სუბიექტური მოსაზრებები ჰქონდა. ამბობენ, რომ მას საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭეს. ამაზე ასე ვიტყოდი: საერთაშორისო ოსტატი კი არა, საერთაშორისო საქმეების ოსტატია. ჭადრაკის დაფასთან იგი არავის უნახავს. სამაგიეროდ ტელევიზიით შეიძლებოდა იმის ხილვა, თუ როგორ თამაშობს... ჩოგბურთს.

ჩვენ გვინდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ჭადრაკი შევინარჩუნოთ. საბჭოთა კავშირში ერთ დროს ყველაზე ძლიერი მოჭადრაკეები რუსეთს ჰყავდა. სწორედ რუსეთის მოჭადრაკეები ეწეოდნენ დიდ საქმიანობას, რათა ჭადრაკი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც განვითარებულიყო. პირველი ჩვენი მსოფლიო ჩემპიონები სწორედ რუსეთის წარმომადგენლები იყვნენ, შემდეგ კი ჩემპიონები გახდნენ ლატვიის, საქართველოს, აზერბაიჯანის მოჭადრაკეები. ცუდი ამაში არაფერი იყო.

ახლა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოჭადრაკეები და არამოჭადრაკეები. ის შეტევა, რომელიც მთელ მსოფლიოში ჭადრაკის წინააღმდეგ მიმდინარეობს (მოიგონეს რაღაც „სწრაფი ჭადრაკი“, შეჯიბრებები ელვისებურ ჭადრაკში და ა.შ.), მიმართულია ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეთა ინტერესების საპირისპიროდ. აი, რას უნდა მიექცეს ახლა უმთავრესი ყურადღება.

ძალიან კარგი იქნება, თუ გარი კასპაროვი შეიგნებს, რომ იმ ცამეტი მსოფლიო ჩემპიონიდან, რომლებიც კი ოდესმე არსებობდნენ, იგი ერთადერთია ჭადრაკის წინააღმდეგ რომ იბრძვის. შეიგნებს და შემოგვიერთდება, შერიგება შეიძლება, თუკი იგი ჭადრაკის ინტერესებს გამოადგება.

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, ამის შესახებ შემდეგს მოგახსენებთ. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონი ერთი უნდა იყოს, მხოლოდ ერთი. ეს კასპაროვმა შეიტანა განხეთქილება საერთაშორისო ჭადრაკში, ახლა კი მან ეს განხეთქილება რუსეთშიც გადმოიტანა. რატომ უნდა იყოს ჩემპიონი მხოლოდ ერთი? იმიტომ, რომ იგი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეა. დარწმუნებული ვარ, რომ ახლანდელი მდგომარეობა, როცა მსოფლიოში ორი ჩემპიონია, დროებითია, ეს უახლოეს ხანებში უნდა გამოსწორდეს. საჭიროა, შეიქმნას ისეთი სისტემა, რომ ნამდვილად უძლიერესი პრეტენდენტი გამოვლინდეს. მე ყოველთვის ვიბრძოდი ამისათვის. ჩემი პირადი ინტერესები კი ჭადრაკის ინტერესებს ემთხვეოდა. საჭიროა აღდგეს მატჩ-რევანშები მსოფლიო პირველობაზე. რახან მე თამაშს აღარ ვაპირებ, იმედს გამოვთქვამ, რომ ვერავინ დამდებს ბრალს პირად დაინტერესებაში...

კასპაროვს საერთოდ სურს ჭადრაკი გოლფად ან ჩოგბურთად აქციოს. მაგრამ ჭადრაკში სხეული თავს ემსახურება. იმ სახეობებში კი, პირიქით, თავი — სხეულს. ჭადრაკი სპორტის ინტელექტუალური სახეობაა და აქ იმ კატეგორიებით ვერ ვიმსჯელებთ, როგორც გოლფში, ჩოგბურთსა თუ კრივში.

კასპაროვი ვერ შეძლებს მოჭადრაკეების მოტყუებას, როცა თავს პირველ პროფესიონალად აცხადებს. იგი არავითარი პირველი პროფესიონალი არ არის და არც მისი ორგანიზაცია გახლავთ პროფესიული. პირველი პროფესიონალი ჭადრაკში ჯოაკინო გრეკო იყო, ჩვენამდე დაახლოებით ოთხი საუკუნით ადრე. გრეკომ პირველმა დაიწყო ჭადრაკით ფულის შოვნა. ის, რასაც კასპაროვი პროპაგანდას უწევს, პროფესიონალობა კი არ არის — ხელოსნობაა. მისი პროფესიული ლიგა ხელოსნობის ლიგაა. ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს!

მე არ ვამბობ, რომ სწორედ კასპაროვი უდგას სათავეში მსოფლიოში ჭადრაკის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. ან მას არ ესმის რაც ხდება, ან ესმის, მაგრამ უბრალო შემსრულებლის როლში გამოდის. ეს კამპანია კი უკვე სამი წელია მიმდინარეობს. კასპაროვის აზრი ერთია — იგი საბჭოთა ჭადრაკს ებრძვის.

მოამზადა ბივი ბამრეკელმა.

## ინფორმაცია

ამ გაჭირვების ჟამს, როცა უტრანსპორტობის გამო შეჯიბრების ადგილზე დროზე მისვლაც დიდი სირთულე გახლავთ, სარბიელზე 54 მოკრივის გამოსვლა, ერთგვარ რეკორდად ჩაითვლება. ზუსტად ამდენი ნორჩი სპორტსმენი (1980-1981 წელს დაბადებულები) გასული წლის მიწურულს იბრძოდა თბილისის პირველობაზე ვერის პარკში „შევარდენის“ დარბაზის რინგზე. მასპინძლებს პირველობას რუსთაველი ჭაბუკები ეცილებოდნენ. ორდღიანი ასპარეზობის შედეგად დედაქალაქის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: მიხეილ ტატურაშვილი, პავლე აფაქიძე, ცოტნე რუსია, ლევან შუბითიძე, დავით ადამაშვილი, შალვა თათუხანაშვილი, გელა ხალათიანი, დავით გეგეშიძე, უჩა ტორჩინავა, ლევან ცხომარია, კახაბერ ბიჭაშვილი, მირიან სუხიშვილი (ყველა — თბილისი).

როგორც ვიუწყებოდით, „ფრანს პრესის" ტრადიციული კონკურსის შედეგად ხრისტო სტოიჩკოვი 1994 წელს ევროპის №1 ფეხბურთელი და „ოქროს ბურთის" ლაურეატი გახდა.

# ეს მოუსვენარი ხრისტო სტოიჩკოვი

რა თქმა უნდა, სპორტული კომენტატორები სხვადასხვა განთქმული პიროვნებების მიმართ ეპითეტებს არ იშურებენ, მაგრამ განა ხშირად ხდება, როცა ვინმეს „გენიოსს" უწოდებენ. როცა ფეხბურთელებზეა ლაპარაკი, შეიძლება ასეთ განსაკუთრებულ რჩეულთა შორის მხოლოდ პელე და მარადონა დავასახელოთ. დიახ, არც დი სტეფანოს, არც ბეკენბაუერისა და კრუიფის მიმართ ასეთი გამოთქმა არ უხმარიათ.

ახლა კი, მსოფლიო ჩემპიონატში ხრისტო სტოიჩკოვის არაჩვეულებრივი ძლიერი თამაშის შემდეგ მას სპორტულ პრესაში „გენიოსს" უწოდებენ. ერთი ბულგარელი გულშემატკივარი კი ისეთ ალტაცებაში მოვიდა, რომ ეკლესიის მესვეურთ 5000 დოლარის შეწირვა აღუთქვა, თუკი სტოიჩკოვს წმინდანად აღიარებენ! ფრიად უცნაური თხოვნაა, მაგრამ მაინც ერთგვარად ასახავს იმ უდიდეს პოპულარობას, რომელიც ფეხბურთელმა სამშობლოში მოიპოვა.

ახლა ხრისტო სტოიჩკოვი (დაიბადა 1966 წელს) მართლაც დიდების ზენიტშია. როცა მსოფლიოსა თუ ევროპის იდეალური ნაკრებები დგება, მას არავინ გამოტოვებს. მის გარეშე ბულგარეთის ნაკრებიც წარმოუდგენელია და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ბარსელონაც", სადაც სტოიჩკოვი 1990 წლიდან თამაშობს.

მანამდე სტოიჩკოვი სოფიის „სრედეცის" წამყვანი თავდამსხმელი იყო. „ბარსელონა" კარგა ხანია აპირებდა ანგარიში გაესწორებინა თავის ძველთაძველ მეტოქე „რეალისათვის" (მადრიდი), ეძებდნენ უპირველეს ყოვლისა შედეგიან თავდამსხმელს, რომელიც „რეალის" განთქმულ მექსიკელ გოლეადორ უგო სანჩესთან მეტოქეობას შესძლებდა. და აი, რა მოხდა, როცა სანჩესმა ესპანეთის ჩემპიონატში 38 გოლი გაიტანა და „ოქროს ბუცზე" პრეტენზია განაცხადა, ბულგარეთის ჩემპიონატში ზუსტად ასეთივე შედეგს „სრედეცის" სნაიპერმა ხრისტო სტოიჩკოვმაც მიაღწია. რა იყო ამის შემდეგ გასაკვირი იმაში, რომ ბულგარელი თავდამსხმელი იოჰან კრუიფმა „ბარსელონაში" მიიწვია!

როცა სტოიჩკოვი „ბარსელონაში" ჩაირიცხა, იქ უკვე სამი უცხოელი იყო: ბრაზილიელი მცველი ალოიზიო, ჰოლანდიელი რონალდ კუმანი და დანიელი მიქაელ ლაუდრუპი. ვიღაცას გუნდის დატოვება ან სათადარიგო სკამზე მუდმივი ჯდომა მოუხდებოდა. ეს „ვიღაცა" ალოიზიო აღმოჩნდა.

ახლა კი რამდენიმე ნაწყვეტი ხრისტო სტოიჩკოვის იმდროინდელი ინტერვიუდან.

● **თვლით, რომ „ბარსელონაში" გადასვლით თქვენი მიზანი შესრულდა?**

— დიახ, ერთი მიზანი. მეორეა წარმატებით თამაში და ესპანეთის ჩემპიონის წოდების მოპოვება.



ხრისტო სტოიჩკოვი

● **ახლა მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ იბრძოლებთ...**

— დიახ, და გვაქვს წარმატების შესაძლებლობა.

აქ უნდა დავძინოთ, რომ სტოიჩკოვმა ორივე ეს ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა. „რეალი" დაემხო ჩემპიონის ტახტიდან, ახლა ბარსელონა მუდმივად პირველია.

● **მარადონას „ბარსელონაში" არაფერი გამოუვიდა. ეს სხვა გამოჩენილ ოსტატებზეც ითქმის. ასეთი ბედი თქვენც ხომ არ გელით?**

— არა, და კიდევ ერთხელ არა!

● **„ნოუ კამპის" სტადიონის მუდმივ მაყურებელს კერპი სურს, თქვენ ხომ არ გახდებით ეს კერპი?**

— „ბარსელონას" ისეთი დიდი ოსტატები ჰყავს, რომ მათგან თითოეულს შეუძლია კერპი გახდეს.

ასეთი თავმდაბალი პასუხი შეშვენის ჭეშმარიტ სპორტსმენს, მაგრამ სულ ცოტა ხნის შემდეგ მოხდა ისე, რომ სტოიჩკოვი მართლაც გახდა ბარსელონელთა კერპი. მასთან კონკურენციას ვერ გაუძლეს ვერც მოწვეულმა, ვერც ადგილობრივმა ოსტატებმა. სტოიჩკოვის, უპირველესი სნაიპერის დიდი ღვაწლიც იყო, რომ „ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბიც. უგო სანჩესი, „რეალის" განთქმული მექსიკელი სნაიპერი, დაბერდა და გუნდიც დატოვა. იოჰან კრუიფმა კი გადაწყვიტა კატალონიელთა კლუბის კიდევ უფრო გაძლიერება და „ასვ ეინდჰოვენიდან" ბრაზილიელი რომარიო მოიწვია. ეს 1993 წლის ზაფხულში მოხდა. ამან სტოიჩკოვის აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ტაქტიანმა კრუიფმა შეძლო ამ ორი გოლეადორის შეთანხმება და დამეგობრებაც კი. დუეტი სტოიჩკოვ-რომარიო „ბარსელონას" მუდმივი წარმატების ნამდვილი გარანტი გახდა.

ესპანეთის ჩემპიონატში გამოსვლასთან ერთად 1992 და 1993 წლებში სტოიჩკოვს მსოფლიო პირველობაზე შესარჩევ მატჩში მუდმივი მონაწილეობაც ელოდა. ერთხანს ისე ჩანდა, რომ ბულგარელებს ფინალში მოხვედრის რაიმე შესაძლებლობა უკვე აღარ ჰქონდათ. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მოხდა „პარიზის სასწაული". ფრანგებმა ყველასათვის მოულოდნელად გაიკეთეს ორმაგი „ხარაკირი" (ისრაელისა და ბულგარეთის ნაკრებებთან) და ფინალში სწორედ სტოიჩკოვის გუნდი გავიდა.

ბულგარეთის ნაკრების წარმატება აშშ-ის მსოფლიო ჩემპიონატში სტოიჩკოვის გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელი იქნებოდა. დიახ, მშვენივრად თამაშობდა მეკარე მიხაილოვი, მცველი ხუბჩევი, გნებავთ ნახევარმცველი ლეჩკოვი, მაგრამ სტოიჩკოვი სულ სხვა იყო. მეორე ცნობილ თავდამსხმელ კოსტადინოვს თამაში მსოფლიო ჩემპიონატში, შეიძლება ითქვას, არ გამოუვიდა, მაგრამ სტოიჩკოვი ხომ რამდენიმე კაცის საქმეს აკეთებდა.

დამთავრდა მსოფლიო პირველობა. დაიწყო ევროპის ჩემპიონატი. ხრისტო სტოიჩკოვი კი ახლა უკვე ქართველი ფეხბურთელების მეტოქე გახდა!

გივი თხინვალელი

# ...რომ შვილი სჯობდეს მამასა

**საკმაოდ ხშირად ხდება, ფეხბურთელი თავის პროფესიას შვილს უანდერძებს ხოლმე. უამრავი ასეთი კონკრეტული მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ თუ ასე დაისმება საკითხი, ვინ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიეს — მამებმა თუ შვილებმა, თქვენ წარმოიდგინეთ, უპირატესობა ძირითადად მამების მხარეზე აღმოჩნდება. ცხადია ყოველთვის არა...**

ჩეზარი მალდინი, რომელიც ახლა 62 წლისაა, 50-იან და 60-იან წლებში გამოჩენილი ცენტრალური მცველი იყო. თამაშობდა ჯერ „ტრიესტინაში". თავისი საუკეთესო წლები კი „მილანში" გაატარა. 1960-63 წლებში იტალიის ნაკრებში 14 მატჩი ითამაშა, იყო „სკუადრა აძურას" კაპიტანი. მონაწილეობდა მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატში, ჩილეში. პოზიციური თვალსაზრისით უშეცდომოდ მოქმედებდა, ითვლებოდა თავით თამაშის ჩინებულ ოსტატად. აღიარეს საუკეთესო სტოპერად ევროპულ ფეხბურთში. ჩვენ ვნახეთ უკვე საკმაოდ „დამძიმებული" ჩეზარე მალდინის თამაში მოსკოვში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, თანაც მისთვის უჩვეულო განაპირა მცველის როლში.

მისი ვაჟი პაოლო (დაიბ. 1968 წლის 26 ივნისს) ასევე მცველი გახდა, ოღონდ მამისაგან განსხვავებით, ცენტრალური კი არა, განაპირა. ამასთან, პაოლოს გუნდში და ნაკრებში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, ზოგჯერ დაცვის ცენტრშიც თამაშობს და ამ მოვალეობასაც საკმაოდ კარგად ასრულებს.

— ყველაფერს, რასაც ფეხბურთში მივაღწიე, ორ ადამიანს ვუმადლი. ერთი მათგანი გახლავთ მამაჩემი ჩეზარე, რომელმაც შემაყვარა ეს თამაში და მომცა, ასე ვთქვათ, დაწყებითი განათლება. რაც შეეხება ფეხბურთის ფილოსოფიას, თამაშის ნიუანსებში ჩაწვდომასა და გაგებას, ყოველივე ამას დიდი გულმოდგინებით მასწავლიდა გამოჩენილი შვედი სპეციალისტი ნილს ლიდჰოლმი, რომელიც ორი სეზონის მანძილზე ჩემი მწვრთნელი იყო „მილანში".

მამამ და ლიდჰოლმმა ბევრი რამ მასწავლეს, მათ შორის ისიც, რომ ფეხბურთში ვინმეს კერპად გახდე, ძალზე სახიფათო ამბავია. ასეთი რამ ხშირად კლავს ყოველივე ორიგინალურს, რაც ამა თუ იმ მოთამაშეს გააჩნია. ამიტომაც იყო, რომ ყოველთვის ვცდილობდი ფეხბურთი ჩემებურად მეთამაშა, ისე, როგორც გონება და ინტუიცია მიკარნახებდა.

პაოლოს მთელი სპორტული საქმიანობა, მამისა არ იყოს „მილანთან" არის დაკავშირებული. ის არ ეკუთვნის იმ მოთამაშეთა რიცხვს, რომლებიც დიდხანს არსად ჩერდებიან და კლუბებს „ხელთათმანივით" იცვლიან. „მილანში", სადაც ძალიან კარგად ახსოვდათ მისი მამა პაოლო მალდინიმ 16 წლისამ დაიწყო თამაში, რაც ცხადია, ჭაბუკის დიდ ნიჭზე მეტყველებდა. 1984-85 წლების სეზონში პირველად გამოვიდა „უდინეზეს" წინააღმდეგ



პაოლო მალდინი

და, იმ დღიდან მოყოლებული, თუ ტრავმებს არ იგულისხმებთ, უცვლელად თამაშობს.

ის-ის იყო დაიწყო ამ სახელოვან კლუბში გამოსვლა, რომ იტალიის ნაკრების გამოჩენილ მცველს შეადარეს და „ახალი კაბრინი" უწოდეს.

— ძალიან მეამაყება, რომ ანტონიო კაბრინის მადარებენ — განაცხადა ჭაბუკმა მალდინიმ — მაგრამ მანამდე, პირდაპირ ვთქვათ, ბევრი მიკლია. რა ნაკლი მაქვს? ძალიან ბევრი — მარჯვენა ფეხს უარესად ვხმარობ. უნდა გავაუმჯობესო დარტყმა, უკეთ გავერკვე რთულ სათამაშო სიტუაციებში.

პაოლომ თავიდანვე დიდი ყურადღება თავისი შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებითაც მიიქცია (185 სმ, 77 კგ). აზელიო ვიჩინიმ იგი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვია, სადაც თავიდანვე წამყვანი მოთამაშე გახდა.

ევროპის 1988 წლის ჩემპიონატში პაოლო, რომელსაც იტალიის ნაკრებში მანამდე სულ რამდენიმე მატჩი ჰქონდა ჩატარებული, ნამდვილ „აღმოჩენად" ჩათვალეს. იმ დროიდან მოყოლებული, იგი „სკუადრა აძურას" მუდმივი წევრი გახდა. ძალიან კარგად წარმართა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი „მილანში". მან რამდენიმე სეზონი შესანიშნავად ითამაშა.

და მაინც, ერთ რომელიმე სეზონს თუ გამოვყოფთ ეს მალდინისათვის 1993-94 წლებია. რა მოუტანა მან პაოლო მალდინის? ჯერ ერთი „მილანმა" დიდი კონკურენციის გარეშე (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად!) მოიპოვა „სკუდეტო" — იტალიის ჩემპიონი გახდა. „მილანმა", თუმცა ზოგი სპეციალისტი მას ესპანეთის ჩემპიონზე უარესად მიიჩნევდა, გადამწყვეტ მატჩში მძიმე მარცხი აგემა კრუიფის „ბარსელონას" და ჩემპიონთა ლიგაში პირველი ადგილი დაიკავა. ამით შესრულდა „მილანის" პრეზიდენტ, ტელემაგნატ სილვიო ბერლუსკონის ოცნება, რომელიც ახლა უკვე იტალიის პრემიერ-მინისტრია.

და, რა თქმა უნდა, მთავარი მაინც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა იყო, სადაც იტალიის ნაკრებს კარგს არაფერს უქადდნენ. არიგო საკიმ, რომელიც მალდინის „მილანშიც" წვრთნიდა, იმის მაქსიმუმი გააკეთა, რაც კი საერთოდ შეიძლებოდა. დიახ, მას ზოგჯერ ბედი სწყალობდა, ზოგჯერ, ვთქვათ, არ გაუმართლა. ეტყობა, ახლა, როცა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, იგი გადასინჯავს კიდეც „სკუადრა აძურას" შემადგენლობას, თუმცა ჰყავს რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც კიდევ კარგა ხანს გამოადგება გუნდს.

ერთი მათგანი, ცხადია, პაოლო მალდინია. დასაწყისში, იგი, როგორც ყოველთვის, მარცხენა მცველად თამაშობდა, მაგრამ, როცა გუნდს ძალიან გაუჭირდა, აღარც ბარეზი ჰყავდა და აღარც კოსტაკურტა, მალდინიმ დაცვის ცენტრში გადაინაცვლა, იქიდან კი... მსოფლიოს სიმბოლიურ ნაკრებში მოხვდა.

ჩეზარე მალდინი და მისი შვილი პაოლო. ხომ ვთქვით, რომ უმეტეს შემთხვევაში მამები მეტ წარმატებას აღწევენ ვიდრე შვილები, ამჯერად საქმე, ცხადია პირიქით არის.

გივი თორელი

ამ დღეებში ლონდონის პოპულარულმა ჟურნალმა „უორლდ სოკერმა" პაოლო მალდინი მსოფლიოს №1 ფეხბურთელად აღიარა.

## ნბა-ს ამბები

# 27 ახალბედა მილიონერი

ნბა-ს 1994-95 წლების ჩემპიონატის დრაფტის პირველ წრეში 27 კალათბურთელი აირჩიეს. მათ ჟურნალისტებმა სავსებით სამართლიანად, ოცდაშვიდი ახალბედა მილიონერი უწოდეს. აი მათი სიაც, რომელშიც, ამავე დროს, მითითებულია რომელ ამპლუაში გამოდის ესა თუ ის კალათბურთელი, რომელმა კლუბმა შეიძინა, რამდენი წლით დაიდო კონტრაქტი და რა თანხაზე.

1. **გლენ რობინსონი.** ფორვარდი. „მილუოკი". 10-წლიანი კონტრაქტი. 68,15 მილიონი დოლარი.
2. **ჯეისონ კიდი.** მცველი. „დალასი". 9-წლიანი კონტრაქტი. 54 მილიონი დოლარი.
3. **გრანტ ჰილი.** ფორვარდი. „დეტროიტი". 8-წლიანი კონტრაქტი. 45 მილიონი დოლარი.
4. **დანიელ მარშალი.** ფორვარდი. „მინესოტა". 9-წლიანი კონტრაქტი. 42,6 მილიონი დოლარი.
5. **ჯავენ ჰოვარდი.** ფორვარდი. „ვაშინგტონი". მონაცემები არ არის.
6. **შარონ რაიტი.** ცენტრი. „ფილადელფია" მონაცემები არ არის.
7. **ლემონდ მიურეი.** ფორვარდი. „ლოს-ანჯელეს კლიპერსი". 5-წლიანი კონტრაქტი. 13,5 მილიონი დოლარი.
8. **ბრაიან გრანტი.** ფორვარდი. „საკრამენტო". 13-წლიანი კონტრაქტი. 29-33 მილიონი დოლარი.
9. **ერიკ მონტროსი.** ცენტრი. „ბოსტონი". 11-წლიანი კონტრაქტი. 17-20 მილიონი დოლარი.
10. **ედი ჯონსი.** ფორვარდი. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი". 6-წლიანი კონტრაქტი. 13,5 მილიონი დოლარი.
11. **კარლოს როჯერსი.** ცენტრი. „გოლდენ სტეიტი". 9-წლიანი კონტრაქტი. მონაცემები არ არის.
12. **ჰალიდ რივსი.** მცველი. „მაიამი". 5-წლიანი კონტრაქტი. 8,5 მილიონი დოლარი.
13. **ქელენ როუზი.** მცველი. „დენვერი". 6-წლიანი კონტრაქტი. 10,2 მილიონი დოლარი.
14. **იინკა დერი.** ცენტრი. „ნიუ-ჯერსი". მონაცემები არ არის.
15. **ერიკ პიატკოვსკი.** ფორვარდი. „ლოს-ანჯელეს კლიპერსი". მონაცემები არ არის.
16. **კლიფ როზიე.** ფორვარდი. „გოლდენ სტეიტი". 4-წლიანი კონტრაქტი. მონაცემები არ არის.
17. **აარონ მაკი.** მცველი. „პორტლენდი". 6-წლიანი კონტრაქტი. 7 მილიონი დოლარი.
18. **ერიკ მობლი.** ცენტრი. „მილუოკი". 4-წლიანი კონტრაქტი. 4,64 მილიონი დოლარი.
19. **ტონი დუმასი.** მცველი. „დალასი". 4-წლიანი კონტრაქტი. მონაცემები არ არის.
20. **ბი ჯი ტაილერი.** მცველი. „ფილადელფია". მონაცემები არ არის.
21. **დიკ პიმპკინსი.** ფორვარდი. „ჩიკაგო". 6-წლიანი კონტრაქტი, 7 მილიონი.
22. **ბილ კელერი.** ფორვარდი. „დეტროიტი". 5-წლიანი კონტრაქტი. 5,6 მილიონი დოლარი.
23. **უესლი პერსონი.** მცველი. „ფინიქსი" 4-წლიანი კონტრაქტი. მონაცემები არ არის.
24. **მონტი უილიამსი.** ფორვარდი. „ნიუ-იორკი". მონაცემები არ არის.
25. **გრეგ მაინორი.** მცველი. „ბოსტონი". მონაცემები არ არის.
26. **ჩარლი უორლი.** მცველი. „ნიუ-იორკი". 5-წლიანი კონტრაქტი. 4,4 მილიონი დოლარი.
27. **ბრუკს ტომპსონი.** მცველი „ორლანდო მეჯიკი". მონაცემები არ არის.

* * *

როგორც ცნობილია, კალათბურთის ეროვნული ლიგის ჩემპიონებს, ტრადიციულად, ბრილიანტებით მორთული ოქროს კალათით აჯილდოებენ. ეს წესი არასდროს დარღვეულა, აი ბოლო ჩემპიონატის შემდეგ კი ნბასკომისრებს მოუხდათ მცირედი კორექტივების შეტანა. საქმე ის გახლავთ, რომ „ჰიუსტონ როკეტსის" წამყვან კალათბურთელს ხაკიმ ოლაჯუივონს რელიგია უკრძალავს ოქროსთან ყოველგვარ კონტაქტს. ამიტომ მას, გამონაკლისის სახით პლატინის კალათა დაუმზადეს.

როგორც ვიუწყებოდით, „მილუოკმა" ახალგაზრდა კალათბურთელს გლენ რობინსონს 10-წლიან კონტრაქტში 68,15 მილიონი დოლარი გადაუხადა (გახსოვთ ალბათ, რომ თავად კალათბურთელი 100 მილიონ დოლარს ითხოვდა). მაგრამ მიმომხილველთა თქმით რობინსონი ჯერჯერობით ვერ ამართლებს მილუოკელთა იმედებს. წინა სეზონში მისი საშუალო შედეგიანობა ერთობ მაღალი იყო — 30,3 ქულა ერთ მატჩში, წლეულს კი 15,4 ქულას ვერაფრით გადააჭარბა.

გაზეთ „უსა ტუდეის" ყოველწლიურ საახალწლო ანკეტაში წლის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად დასახელებულია მაიკლ ჯორდანი (ოღონდ როგორც კალათბურთელი და არა კეტბურთელი). უძლიერესთა ათეულში შეყვანილია კიდევ ორი კალათბურთელი — მეჯიკ ჯონსონი (VI ადგილი) და ლარი ბიორდი (VII ადგილი). მეხუთე ჯილდო ამ კონკურსში კი ერგო მოკრივე ჯორჯ ფორმენს, რომელმაც 45 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პირველი, პირველმა, პირველად

# ისტორიას ისინი იწყებდნენ

ომამდე და ერთხანს ომის შემდეგაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტსმენებისათვის ყველაზე საპატიო და ავტორიტეტულ წარმატებად ქვეყნის ჩემპიონატში გამარჯვება ითვლებოდა. ჩემპიონობას მაშინ დიდი დაფასება ჰქონდა და მოწინავე სპორტსმენები თავს იკლავდნენ მის მისაღებად. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სსრ კავშირის სპორტის სახეობათა სექციები არ იყვნენ გაწევრიანებული საერთაშორისო ფედერაციებში და, ბუნებრივია, არ მონაწილეობდნენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში. ზუსტად ამავე მიზეზით არ უმტკიცებდნენ ჩვენს სპორტსმენებს მსოფლიოს რეკორდებს. თუმცა ბევრი მაშინდელი მიღწევა აღემატებოდა ოფიციალურ მსოფლიოს (ან ევროპის) რეკორდებს.

ამიტომ გასაგებია იმ გამარჯვებების ისტორიული მნიშვნელობა, რომლებსაც საქართველოს წარმომადგენლები აღწევდნენ საკავშირო ჩემპიონატებში. დაგვეთანხმებით ალბათ, რომ განსაკუთრებით ფასეულია სპორტში პირველი წარმატებები. დღეს ჩვენ გადავწყვიტეთ წარმოგიდგინოთ სახეობების მიხედვით (ანბანური განლაგებით) პირველი საკავშირო ჩემპიონები საქართველოდან. რომლებსაც შემდგომში იმავე პრინციპით ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებსაც მივაყოლებთ. დარწმუნებული ვართ, ქართული სპორტის ბევრ პიონერს ეს გახსენება მალამოდ მოეფინება გულს. ამის გარდა, აღნიშნულ ინფორმაციას გარკვეული შემეცნებითი ღირებულებაც აქვს, განსაკუთრებით ქართული სპორტის ისტორიის მკვლევართათვის და შემსწავლელთათვის. მაშ ასე, სსრკ პირველი ჩემპიონები საქართველოდან:

აკრობატიკა: 1939 წელი. ძალისმიერი ოთხეული. თბილისის „ნაუკა" — 74,89 ქულა. შემადგენლობა: რუდოლფ ემელიანოვი, თეიმურაზ მაყაშვილი, მიხეილ ქელეხსაშვილი და კარო ვართანოვი.

აფროსნობა. 1982 წელი. 21-29 სექტემბერი. სევასტოპოლი. „ვარსკვლავის" კლასი. გურამ ბიგანიშვილი, თბილისის არმიის სპორტკლუბი (მებაგირე გ. რაზუმნოვი, ერევნის არმიის სპორტკლუბი).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 1935 წელი. 4-6 ივლისი, მოსკოვი, მჩატე წონა. ლეონიდ ძეკონსკი. „პიშჩევიკი", თბილისი. მოიგო ოთხი ბრძოლა, ორი ფრედ დაამთავრა, მათ შორის წინა წლის ჩემპიონთან ვ. ლიულიაკოვთან (მოსკოვი).

ველოსპორტი საგზაო-კეცილო. 1955 წელი. 20-24 ოქტომბერი, ნალჩიკი. გუნდური კროსი 30 კმ. გაიმარჯვა „დინამოს" ნაკრებმა (11:11.16), რომლის შემადგენლობაში კარლო შენგელიას გარდა გამოდიოდნენ კ. კაცინსკი, კ. კოლესოვი და ბ. ბუკრეევი.

ველოსპორტი. ტრეკი. 1939 წელი. 12 სექტემბერი. სალიდერო რბოლა 20 კმ. ფ. ტარაჩკოვი (მოსკოვი) — გოგი ლეჟავა (თბილისი) — 20.28,2.

თავისუფალი ჭიდაობა. 1945 წელი. 26-28 სექტემბერი. ლენინგრადი. ქვემსუბუქი წონა — ვასილ ილურიძე (თბილისი, „ბოლშევიკი"); საშუალო წონა — დავით ციმაკურიძე (თბილისი, „ბოლშევიკი"); ქვემძიმე წონა — ვაღარშაკ მაჩკალიანი (თბილისი, „დინამო"); მძიმე წონა — არსენ მეკოკიშვილი (თბილისი „დინამო").

კალათბურთი. 1944 წელი. 2-8 აგვისტო. თბილისი. წითელი არმიის სახლი (თბილისი). შემადგენლობა: ნოდარ ჯორჯიკია; ლევ ძეკონსკი, მიხეილ ერმაკოვი, გრიშა ზახლიანი, სურენ ოგანეზოვი, ბორის სარქისოვი, მიხეილ ფილიპოვი. მწვრთნელი — გრიგოლ მეუნარგია.

კრივი. 1938 წელი. 17 ივლისი. მოსკოვი. ქვემსუბუქი წონა. გიორგი (ჟორა) ვართანოვი (თბილისი, „დინამო"). ფინალური ბრძოლა მოუგო წინა წლის ჩემპიონს ანატოლი გრეინერს (ხარკოვი, არმიის სპორტკლუბი).

მაგიდის ჩოგბურთი. 1966 წელი. კაუნასი. ვაჟთა წყვილები. სარქის სარხოიანი (ბათუმი „სპარტაკი").

მეკლდეურობა. 1961 წელი. მიხეილ ხერგიანი. თბილისი, „კოლმეურნე".

მთამსვლელობა. 1950 წელი. უშბაშხელდის ტრავერსი. ხელმძღვანელი ივანე მარი (თბილისი „ბოლშევიკი"). მონაწილენი — მაქსიმე გვარლიანი, ბექნუ ხერგიანი. გოჯი ზურებიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი (ყველა — მესტია „კოლმეურნე").

მშვილდოსნობა. 1971 წელი, მოსკოვი. მ-2 ვარჯიში. ლიუბოვ ასატუროვა — 2777 ქულა (30 მ — 657 ქულა, 60 მ — 578 ქულა).

მძლეოსნობა. 1924 წელი, მოსკოვი. ვლადიმერ დიაჩკოვი (თბილისი, არმიის სპორტკლუბი) — 110 მ. თარჯრბენი — 17,4; სიმაღლეზე ხტომა — 1,65 მ, ჭოკით ხტომა — 3,375 მ; ბორის დიაჩკოვი (თბილისი, არმიის სპორტკლუბი). სამხტომი — 12,14 მ; ივანე სერგეევი (თბილისი, არმიის სპორტკლუბი). ფადროს ტყორცნა — 40,65 მ; ათჭიდი — 5122 ქულა.

მხატვრული ტანვარჯიში. 1979 წელი. 30 ივლისი — 2 აგვისტო. მოსკოვი. სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის პროგრამით. ირინე გაბაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი"). ბურთით ვარჯიში — 19,45 ქულა, ლენტით ვარჯიში — 19,3 ქულა.

ნიჩბოსნობა აკადემიური. 1973 წელი. მოსკოვი. რვაადგილიანი ნავები. გივი ნიკურაძე (თბილისი, „ბურევესტნიკი").

ნიჩბოსნობა სახალხო (შემდგომში საბაიდარო და კანოე). 1948 წელი. 26-30 სექტემბერი. ასტრახანი. ერთადგილიანი ნავები 1000 მ. ვალენტინა სერედა (მცხეთა, „ბოლშევიკი") — 5.47,2.

სამბო. 1940 წელი. 28 ნოემბერი — 1 დეკემბერი. მოსკოვი. მჩატე წონა — შალვა ნოზაძე (თბილისი, „სპარტაკი"); მძიმე — არსენ მეკოკიშვილი (თბილისი, „დინამო").

სამთო-სათხილამურო სპორტი. 1947 წელი. 11-16 აპრილი. კიროვსკი. სწრაფდაშვება. 2.500 მ. მიხეილ გავაშელიშვილი (ბაკურიანი „ბოლშევიკი") — 2.08,6.

სინქრონული ცურვა. 1987 წელი. კიევი. დუეტები. ხრისტინა ფალასანიდი (თბილისი, პროფკავშირები — ე. დოლჟენკო. ლენინგრადი, პროფკავშირები — 181,61 ქულა); ხრისტინა ფალასანიდი. ჯგუფური ვარჯიში. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში — 182,50 ქულა.

სროლა სასტენდო. 1938 წელი. სატრანშეო სტენდი. 300 სამიზნე. გიორგი ავილოვი (თბილისი, „დინამო") — 294 ქულა.

სროლა ტყვიის. 1947 წელი. 24-31 აგვისტო. მიტიშჩი. გუნდური პირველობა. საქართველო I — 337 ქულა. შემადგენლობა: მ. რომანენკო, ვ. გაბრიელიანი, პ. ქავთარაძე, ლ. ვაინშტეინი, ნ. ფოტიევი.

ტანვარჯიში. 1932 წელი, ლენინგრადი. მრავალჭიდი. გიორგი (გულო) რცხილაძე (თბილისი, „სპარტაკი").

ფარიკაობა. 1948 წელი. 10-18 ოქტომბერი. სარატოვი. ესპადრონი (გუნდური) — ალექსანდრე ბათმანოვი (თბილისი, „ბოლშევიკი"); დაშნა (გუნდური) — გიგა ერისთავი (თბილისი, არმიის სპორტკლუბი).

ფეხბურთი. 1964 წელი, „დინამო" (თბილისი). ალექსანდრე აფშეევი, ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, ჯემალ ზეინკლიშვილი, შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გურამ პეტრიაშვილი, ვახტანგ რეხვიაშვილი, ბორის სიჭინავა, გიორგი სიჭინავა, გურამ ცხოვრებოვი.

ჩოგბურთი. 1959 წელი. ქალთა წყვილები. ირინა რიაზანოვა-ერმოლოვა (თბილისი, „ბურევესტნიკი" — ანა დმიტრიევა, მოსკოვი „ბურევესტნიკი").

ცურვა. 1951 წელი. 26-30 აგვისტო. კიევი. ვიქტორ ლავრინენკო (სოხუმი. „დინამო") 200 მ. გულაღმა — 2.35,2; 400 მ. გულაღმა — 5.29,8.

ცხენოსნობა. 1943 წელი. დაბრკოლებათა გადალახვა, უმაღლესი კლასი. ნატალია ვასილიევა — როგე (თბილისი, „სპარტაკი").

ძალოსნობა. 1943 წელი. 18-19 სექტემბერი. გორკი. ქვემსუბუქი წონა. მოისეი კასიანიკი (თბილისი „დინამო") — 305 კგ. მსუბუქი წონა. მამია ჟღენტი, (თბილისი, „დინამო") — 325 კგ.

ძიუდო. 1973 წელი. 7-9 დეკემბერი, კიევი. მსუბუქი წონა. შენგელი ფიცხელაური (თბილისი, არმიის სპორტკლუბი); მძიმე წონა. გივი ონაშვილი (თბილისი, „კოლმეურნე").

წყალში ხტომა. 1961 წელი. 3-8 სექტემბერი, ოდესა. 3-მეტრიანი ტრამპლინი. ბორის პოლულიახი (თბილისი, „დინამო") — 258,63 ქულა.

ხელბურთი. 1962 წელი. „ბურევესტნიკი" (თბილისი). ჯემალ აბაიშვილი, თამაზ ანთაძე, ანზორ ექსეულიძე, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ლერი კარტოზია, ბორის კოპალეიშვილი, გარი მაჭავარიანი, არტურ რატიანიძე, იმედო ფხაკაძე, ილია შელეგია, ჯემალ ცერცვაძე. მწვრთნელი — გიორგი შარაშიძე.

(გაგრძელება იქნება).

## პროფესიულ რინგზე

კიტო (ეკვადორი). იბფ-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 72,4 კგ წონაში თავისუფალი იყო და აი ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი სეგუნდო მერკადო და ამერიკელი ბერნარდ ჰოპკინსი. ერთმა არბიტრმა, გამარჯვება ამერიკელს მიაკუთვნა, მეორემ — ეკვადორელს, მესამემ კი ფრე დააფიქსირა. ჟიურიმ ბოლო ვარიანტს დაუჭირა მხარი და გამოაცხადა, რომ ტიტული არ გათამაშდაო.

იქვე ვბა-ს ვერსიით 76 კგ-ში 29 წლის ფრენკ ლილსმა შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მაიკლ ნანთან ორთაბრძოლაში.

ალბუკერკი (მექსიკა). ადგილობრივმა მიგელ ანხელ გონსალესმა დაამტკიცა რომ უძლიერესი მოკრივეა ვბა-ს ვერსიით 61,1 კგ. წონაში. ამერიკელ კელვინ გროუვთან მისი შეხვედრა შეწყდა მე-6 რაუნდში გროუვის სეკუნდანტის მოთხოვნით.



## რა ხდება ქვეყანაზე

„ეკოლოგია წყალზე" — ამ დევიზით აპირებს ვარშავა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის ჩამტარებელთა დავაში ჩაბმას. საორგანიზაციო კომიტეტის შეფს ვოიცეხ ზაბლოცკის მიაჩნია, რომ პოლონელთა მთავარი კოზირი ამ ძნელ ბრძოლაში იქნება ვისლა, ერთადერთი მდინარე ევროპაში, რომლის რეგულირება არ ხდება დამბებითა და კაშხალებით.

●

განსაკუთრებული თითქოს არაფერი მომხდარა. უბრალოდ, 38 წლის ირლანდიელ ველოსიპედისტს ბონ კელის დრომ უწია და გადაწყვიტა სპორტისათვის დაენებებინა თავი. მადლიერმა გულშემატკივრებმა მისი საზეიმოდ გაცილება მოინდომეს, ირლანდიის ველოსპორტის ფედერაციამ კი სპეციალური გამოსათხოვარი შეჯიბრება მოაწყო, რომელზეც სტუმრად მიიწვია წარსულის ბევრი ვარსკვლავი, მათ შორის ლეგენდარული ედი მერქსი, ბერნარ ინო, როჯერ დე ვლამინკი, ლორან ფინიონი და სტეფენ როში (ბოლო ორმა ველოსიპედისტმა შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა). ამ ღონისძიებას პენს სწორედ სახელოვან სპორტსმენთა ასეთი სიმრავლე აძლევდა. 87-კილომეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად მოყვარულმა ირლანდიელმა დეკლან ლონერგანმა გაიარა.

●

უიმბლდონის ორგზის ჩემპიონმა და დევისის თასის მფლობელმა შვედმა სტეფან ედბერგმა გადაწყვიტა გაწყვიტოს კავშირი თავის მწვრთნელთან ტონი პიკარდთან. 11 წლის აქტიური თანამშრომლობის შემდეგ პარტნიორები ყოველგვარი სკანდალის გარეშე, ცივილიზებულად დასცილდნენ ერთმანეთს. ამიერიდან 28 წლის ედბერგს მწვრთნელი აღარ ეყოლება. შეგახსენებთ, რომ სახელოვან შვედ ჩოგბურთელს მოგებული აქვს 40-ზე მეტი ტურნირი, მათ შორის ექვსი — „დიდი სლემისა".

●

ბოლოდროინდელი დოპინგსკანდალებით გაოგნებულმა ჩინეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სასწრაფოდ გამოსცა კანონები და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მეოცე საუკუნის ამ უკურნებელ სენს. ამ კანონების თანახმად დოპინგის მიღებაში მხილებული სპორტსმენები განსაკუთრებულ შემთხვევებში სისხლის სამართლის კანონებით დაისჯებიან. სხვათა შორის, დოპინგის მიმღებთა წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრება მოითხოვა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ელ გორმაც, რომელიც მონაწილეობდა სოკის აღმასრულებელი კომიტეტის ოთხდღიან მუშაობაში.

●

1994 წელს კორტები დატოვა ორმა გამოჩენილმა ჩეხმა — მარტინა ნავრატილოვამ და ივან ლენდლმა (ივანე მრისხანედ წოდებულმა). 34 წლის ლენდლს სულ მოგებული აქვს 94 საერთაშორისო ტურნირი, მათგან რვა — „დიდი სლემის" სერიიდან. იგი ორჯერ იყო ავსტრალიის ჩემპიონი (1989, 90), სამ-სამჯერ საფრანგეთისა (1984, 86, 87) და აშშ-ს (1985, 86, 87) ჩემპიონატებში გამარჯვებული. სახელოვან ჩოგბურთელს მხოლოდ ჰონორარის სახით მიღებული აქვს 20.512.417 დოლარი. ამ თანხაში, ბუნებრივია, არ შედის რეკლამით მიღებული ფული.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

1995 წლის 11-26 მარტს ნიგერიაში გაიმართება იუნიორთა მორიგი მსოფლიოს ჩემპიონატი. ლაგოსელმა მხატვარმა-დეკორატორმა პოლ ადამსმა დაამზადა ტურნირის სპეციალური თილისმის პროექტი, რომელიც ავტორიტეტულმა ჟიურიმ უყოყმანოდ მიიღო. თილისმად მხატვარმა გამოიყენა ჩვილი სპილო — სკიპო. თილისმის პრეზენტაცია შედგა ნიგერიის ახალ დედაქალაქ აბუჯიში. სკიპოს აცვია მწვანე ტრუსები, თეთრი მაისური და ახურავს მწვანე ქუდი.

●

ევროპის 1975 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, კიევის დინამოელი ოლეგ ბლოხინი დაინიშნა ათენის კლუბ „იონიკოსის" მთავარ მწვრთნელად. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი საბერძნეთის უმაღლეს დივიზიონში 1994 წელს გადავიდა.

●

უცხოეთის კლუბებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში აპირებს დაბრუნებას 35 წლის ბერნდ შუსტერი, რომელიც ამჟამად წარმატებით იცავს ლევერკუზენის „ბაიერის" ღირსებას. გერმანია და ქვეყნის ნაკრები მან დატოვა ათიოდე წლის წინ იმიტომ, რომ აუტანელი ხასიათის გამო, ფაქტობრივად, ყველას წაეჩხუბა. ნაკრების მწვრთნელი ბერტი ფოგტსი შუსტერის მიწვევას გუნდში არ ჩქარობს. „მყავს სამი ბრწყინვალე ნახევარმცველი — ზამერი, მელერი და ჰესლერი, რომელთაგან ვერც ერთს ვერ დავასვენებ. აი თუ დაშავდა რომელიმე..."

●

ვლადიკავკავში ადგილობრივ „სპარტაკთან" მატჩის დროს უმძიმესი ტრავმები მიიღეს ნიჟნი-ნოვგოროდის „ლოკომოტივისა" და რუსეთის ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა იური კალიტვინცევმა და მისმა პარტნიორმა ვლადიმერ კაზაკოვმა. ორივე შემთხვევაში ბრალი მიუძღვის „ლოკომოტივის" ყოფილ მოთამაშეს გორელოვს, რომელიც ამჟამად „სპარტაკშია". ამ შემთხვევას სპეციალურად გაარჩევს ტექნიკური კომისია.

●

ალბათ ტერიტორიული სიახლოვის გამო, ბელარუსელი ფეხბურთელები მეტწილად ავსტრიის კლუბებს ეტანებიან. აი ახლაც, „ლასკში" სათამაშოდ გადავიდნენ ჯერ ალექსანდრე მეტლიცკი, მერე კი იგორ გურინოვიჩი, ორივე ეროვნული ნაკრების წევრია.

●

ნოემბრის დასაწყისში პოლანდიელი რუუდ გულიტი „მილანიდან" გადავიდა „სამპდორიაში", სადაც მთელი წინა სეზონი გაატარა. „სამპდორიამ" „მილანელებს" სანაცვლოდ გადასცა ალექსანდრო მელი.

●

„ასტონ ვილასთან" უეფას თასის მერვედფინალში გამარჯვებისთვის თურქეთის პარლამენტმა სპეციალურად დააჯილდოვა „ტრაბზონსპორის" გუნდი. ფეხბურთელებს გამოეყოთ 30 მილიარდი ლირა, რაც დაახლოებით 830 ათას დოლარს შეადგენს.

●

არგენტინელი ოსვალდო არდილესი დაითხოვეს „ტოტენჰემის" მწვრთნელის პოსტიდან. როგორც ფიქრობენ, მსოფლიოს ჩემპიონი სათავეში ჩაუდგება ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტს", რომელთანაც ამჟამად ამერიკო გალიეგო მუშაობს. ეს უკანასკნელი კი ქვეყნის ნაკრებში გადავიდა მთავარი მწვრთნელის ასისტენტად.

## კრიმინალური ქრონიკა

დიდი ბრიტანეთის ფეხბურთში მექრთამეობის სულ ახალ-ახალ ფაქტებს ავლენენ. „არსენალის" მწვრთნელის ჯორჯ გრემისა და „საუთჰემპტონის" მეკარის ბრიუს გრობელარის სკანდალურ მხილებას მოჰყვა ახალი სკანდალი, რომელიც, ამჟამად, ქრთამის აღებაში ამხელს „გლაზგო რეინჯერსის" ყოფილ მწვრთნელს გრემ სუნესს. გაზეთ „მაილის" მტკიცებით ისრაელის ფეხბურთელებთან — ბონი გინზბურგთან და ავი კოენთან კონტრაქტის დადებისათვის საჩუქრად მიიღო 30 ათასი გირვანქა სტერლინგი. ფულის მისაღებად ტელ-ავივში ჩაფრენილა თურმე მისი მეუღლე დანიელა. საჩუქარი შუამავლისთვის ქალაქის ერთ-ერთ მყუდრო ბარში გადაუციათ.

ინგლისის „მაკსფილის" ერთობ უმნიშვნელო საფეხბურთო კლუბმა გადაიხადა იუბილე, რომელზეც საპატიო სტუმრად მიიწვია ცნობილი ჯორჯ ბესტი და ამაში მას, ჰონორარის სახით გადაუხადა 16 ათასი გირვანქა სტერლინგი. ბესტს ახალგაზრდა ფეხბურთელთა წინაშე ლექციაც უნდა წაეკითხა. მაგრამ მოხდა ყოვლად გაუგებარი ამბავი. მეგობრული ვახშმის დროს ბესტი გავიდა გარეთ და... მის შემდეგ არავის უნახავს. პოლიციამ სასტუმროში მაგიდაზე იპოვნა კონვერტში ჩადებული, ხელუხლებელი 1600 გირვანქა. მეტი არაფერი. საიდუმლოდ გაუჩინარებული ფეხბურთელის ძებნა გრძელდება.

## 1994 • მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები

გამოქვეყნდა მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანთა ათეულები 1994 წლის შედეგების მიხედვით. ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მხოლოდ პირველი ნომრების გვარებს.

ვაჟები:

100 მ. ლეროი ბარელი (აშშ) — 9,85
200 მ. ჯონ რეჯისი (დიდი ბრიტ.) — 19,87
400 მ. მაიკლ ჯონსონი (აშშ) — 43,90
800 მ. ბენსონ კოეჩი (კენია) — 1.43,17
1500 მ. ნურედინ მორსელი (ალჟირი) — 3.30,63
1 მილი. ნურედინ მორსელი (ალჟირი) — 3.48,67
5000 მ. ჰაილე გებრესილასიე (ეთიოპია) — 12.56,98
10.000 მ. მოზეს ტანუი (კენია) — 26.20,1
მარათონი: კოსმას ნდეტი (კენია) — 2:07.15
110 თარჯ. კოლინ ჯექსონი (დიდი ბრიტ.) — 12,98
400 თარჯ. დერიკ ადკინსი (აშშ) — 47,70
3000 დაბრკ. მოზეს კიპტანუი (კენია) — 3.08,80
20 კმ. სიარ. ბერნარდო სეგურა (მექსიკა) — 1:17.25,5
50 კმ. სიარ. ვალენტინ მასანა (ესპანეთი) — 3:38.43
სიმაღლე. ხავიერ სოტომაიორი (კუბა) — 2,42
ჭოკი. სერგეი ბუბკა (უკრაინა) — 6,14
სიგრძე. ერიკ უოლდერი (აშშ) — 8,74
სამხტომი. ლეონიდ ვოლოშინი (რუსეთი) — 17,77
ბირთვი. კევინ ტოტი (აშშ) — 21,25
ბადრო. ატილა ხორვატი (უნგრეთი) — 68,58
ურო. ანდრეი აბდუვალიევი (ტაჯიკ.) — 83,96
შუბი. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) — 91,82
ათჭიდი. ედუარდ ჰამალაინენი (ბელარუსი) — 87,35

ქალები:

100 მ. ირინა პრივალოვა (რუსეთი) — 10,77
200 მ. გვენ ტორენსი (აშშ) — 21,85
400 მ. მარი-ჟოზე პერეკი (საფრანგეთი) — 49,77
800 მ. მარია მუტოლა (მოზამბიკი) — 1. 55,19
1500 მ. სონია ო'სალივანი (ირლანდ.) — 3.59,0
1 მილი. სონია ო'სალივანი (ირლანდ.) — 4.17,25
3000 მ. ელენა ო'სალივანი (ირლანდ.) — 8.21,64
5000 მ. ელენა რომანოვა (რუსეთი) — 15.05,94
10000 მ. ვან ცზუნისია (ჩინეთი) — 30.50,34
მარათონი. უტა პიპიგი (გერმანია) — 2:21.45
100 თარჯ. ტატიანა რეშეტნიკოვა (რუსეთი) — 12,53
400 თარჯ. სალი განელა (დიდი ბრიტ.) — 53,33
10 კმ. სიარ. გაო ხუნმიაო (ჩინეთი) — 41.37,9
სიმაღლე. გალინა ასტაფეი (რუმინეთი) — 2,02
ჭოკი. ნიკოლ რიგერი (გერმანია) — 4,08
სიგრძე. ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) — 7,49
სამხტომი. სოფია ბაჟანოვა (ბულგარეთი) — 14,98
ბირთვი. ვალენტინა ფედიუშინა (უკრაინა) — 20,79
ბადრო. დანიელა კოსტიანი (ავსტრალია) — 68,72
ურო. ოლგა კუზენკოვა (რუსეთი) — 66,84
შუბი. ნატალია შიკოლენკო (ბელარუსი) — 71,40
შვიდჭიდი. ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) — 6741

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.